FSSO № 7452
12
ეროვნული ბიბლიოთეკა

საეშოგლო. დიდის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1991
შაბათი
2
თებერვალი
№ 14 (10407)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ - პოლიტიკური გაზეთი
გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

29 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველმა სესიამ მუშაობა განაგრძო. მისი მორიგი სხდომა გახსნა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ.

ინფორმაცია ახლად არჩეული დეპუტატების უფლებამოსილებათა ცნობის შესახებ გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი, სამანდატო კომისიისა და სადეპუტატო ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ბიძინა დანგაძემ. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 107-ე მუხლის შესაბამისად, სესიამ მიიღო დადგენილება საარჩევნო ბლოკის „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო" პარტიული სიით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატების რუსლან გიორგის ძე ლონდაძის, ნუგზარ მიხეილის ძე შავთვალაძის, ვახტანგ შალვას ძე ცაგარეიშვილის, ლევან ელიზბარის ძე ახმეტელისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის სიით არჩეული დეპუტატის გიორგი გიორგის ძე ჩიჩელაშვილის უფლებამოსილებათა ცნობის შესახებ.

შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტისა და საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ კანონპროექტის განხილვას. მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის მდივანმა დეპუტატმა გიორგი გულბანმა, თანამოხსენება გააკეთა უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა გივი თაქთაქიშვილმა.

კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები ნოდარ ნათაძე, ლოვარდ ტუხაშვილი, ანდრია აფაქიძე, თეიმურაზ ქორიძე, ავთანდილ რცხილაძე, გურამ პეტრიაშვილი, ლევან ალექსიძე, ნათელა ქუთელია, ვახტანგ ჭითავა და ზაზა კახიანი.

უზენაესმა საბჭომ მიიღო „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონი და დადგენილება მისი სამოქმედოდ შემოღების თაობაზე. მიღებულია აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ კანონი და დადგენილება მისი სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.

მოხსენება საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების [illegible] 1991 წლის 31 მარტისათვის.

სესიამ განიხილა [illegible] საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი. უზენაესი [illegible] კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის [illegible] დეპუტატ დავით კუპრეიშვილის [illegible] ამ საკითხზე [illegible] კანონი, ამასთან დადგენილება მისი სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.

შემდეგ სიტყვა მოხსენებისათვის მიეცა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს [illegible] სიგუას, რომელმაც დეპუტატებს გააცნო საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის სტრუქტურა.

ამ საკითხზე გამართულ კამათში მონაწილეობდნენ სესიაზე მოწვეული საქართველოს [illegible] ლევან [illegible], დეპუტატები ბაკურ გულუა, [illegible] მეტრეველი, როინ გოცირიძე, მაია [illegible], ვახტანგ [illegible], თამაზ გუბუშვილი, [illegible] კოლუაშვილი და სხვები. ძირითადად მოიწონა რა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის სტრუქტურა, უზენაესმა საბჭომ დაავალა [illegible] დეპუტატების მიერ [illegible] წინადადებები და შენიშვნები და განსახილველად [illegible] მოქმედ კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებები და დამატებები.

უზენაეს საბჭოში ამომრჩეველთა მიერ გამოგზავნილი მრავალი თხოვნის შესაბამისად, სამაჩაბლოს მდგომარეობის შესახებ სესიაზე ინფორმაციით გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია. ამ რეგიონში შექმნილი სიტუაციის სხვადასხვა ასპექტს შეეხნენ თავიანთ გამოსვლებში დეპუტატები ვაჟა ადამია, რობერტ პეტრიაშვილი, ალექსანდრე ვარძელაშვილი, თედო პაატაშვილი, გიორგი ხავთასი, საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი ვახტანგ რაზმაძე.

სესიაზე წამოიჭრა აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული თათბირის შესახებ წინა დღეს ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა „ვრემიათი" გადმოცემული ინფორმაციის საკითხი, რომელშიც უხეშად იყო დამახინჯებული ფაქტები. ეს ინფორმაცია უარყო დეპუტატმა გივი თალაკვაძემ.

1991 წელს საქართველოს შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის რიგებში წვევამდელთა გაწვევისა და შესაბამისი დროებითი დებულებების საკითხებზე გამოვიდა უზენაესი საბჭოს თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ხავთასი. ამ საკითხის განხილვის შემდეგ რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები ნოდარ ნათაძე, ვახტანგ ცაგარეიშვილი, არჩილ მინდიაშვილი, ალექსანდრე ვარძელაშვილი და სხვები, სესიამ მიიღო შესაბამისი დადგენილებანი. მიღებულია კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) საჭირო ცვლილებების შეტანის შესახებ.

სესიამ განიხილა საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა დანიშვნისა და მსაჯულების არჩევნების მოწყობის საკითხი, რომელზეც ილაპარაკა უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ნუგზარ მოლოდინაშვილმა. სესიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

უზენაესმა საბჭომ მოისმინა და დაამტკიცა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მინდია უგრეხელიძის წინადადება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს შემადგენლობის არჩევისა და მისი პრეზიდიუმის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

სესიამ მიიღო დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან ვ. გ. ლორთქიფანიძის განთავისუფლების შესახებ სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის 1990 წლის 29 დეკემბრის ბრძანების მოქმედების შეჩერების შესახებ.

30 იანვარს სესია მუშაობას განაგრძობდა.

• • •

30 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველმა სესიამ განაგრძო თავისი მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხების განხილვა.

„საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში საიჯარო ურთიერთობათა დებულების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილების საკითხზე გამოვიდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია. გაიმართა აზრთა გაზიარება, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები ნოდარ ნათაძე, გურამ მაქაცარია, ბიმურზა აფრასიძე, გიორგი ხონელიძე, მამიკონ ფიდანიანი, ავთანდილ რცხილაძე, თამაზ გუგუშვილი.

ცნობად მიიღო რა წარმოდგენილი დებულება, უზენაესმა საბჭომ თავის შესაბამის მუდმივ კომისიებს დაავალა დააჩქარონ საქართველოს რესპუბლიკის მიწის კანონის შემუშავება.

შემდეგ სესიამ განიხილა „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატებათა შეტანისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ კანონპროექტები. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის მდივანმა დეპუტატმა, გიორგი გულბანმა.

დაიწყო კამათი, რომლის დროს თავიანთი თვალსაზრისი და წინადადებები გამოთქვეს დეპუტატებმა აპოლონ სილაგაძემ, როინ მეტრეველმა, თამაზ დიასამიძემ, ნუგზარ მოლოდინაშვილმა, მინდია სალუქვაძემ, თედო ნინიძემ, ნოდარ ნათაძემ, დავით ბერძენიშვილმა, ლევან ალექსიძემ, ბაკურ გულუამ და სხვებმა.

უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატებათა შეტანის თაობაზე. პირველი წაკითხვით მიღებულია კანონი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ, რომელმაც გააკეთა ინფორმაცია სამაჩაბლოში შექმნილი ვითარების გამო, სიტყვა მისცა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრ დილარ ხაბულიანს. მან წარმოადგინა ვრცელი ინფორმაცია, თუ როგორ მოქმედებს საქართველოს მილიცია საგანგებო მდგომარეობის რეგიონში, სადაც ურთულეს პირობებში იცავს მოსახლეობის ინტერესებსა და უშიშროებას, ახსნა რეგიონიდან იქ დამატებით შეყვანილი მილიციის კონტინგენტის ცალკეული ქვედანაყოფების დიდი ნაწილის გამოყვანის მიზეზები. მინისტრმა უპასუხა დეპუტატთა კითხვებს. აღინიშნა, რომ შექმნილი მდგომარეობის გამო ცხინვალის ქართული მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული გახდა დაეტოვებინა ქალაქი. დიალოგის დროს, კერძოდ, გამოითქვა წინადადება, რომ შეიქმნას სამაჩაბლოდან ლტოლვილთა რესპუბლიკური სამთავრობო კომისია. რაც შეეხება მილიციას, იგი კვლავ გააგრძელებს მოსახლეობის ინტერესებისა და უფლებათა დაცვას საგანგებო მდგომარეობის რეგიონში.

დეპუტატებმა წუთიერი დუმილით პატივი, სცეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და მისი სახელმწიფოებრიობის ინტერესების დაცვის დროს დაღუპულთა ხსოვნას.

სესიამ განიხილა მუდმივი, სამანდატო და დეპუტატის ეთიკის კომისიის წინადადება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა დასაქმების შესახებ, რომელიც წარმოადგინა ამ კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა ბიძინა დანგაძემ, და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ ამ რესპუბლიკის კანონის გამო გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია. აღინიშნა, რომ ამ კანონის მე-2 მუხლის თანახმად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელიც მუდმი-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

(დასასრული)

ვად ცხოვრობს აჭარაში. ამავე დროს, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 46-ე მუხლის შესაბამისად ასეთი უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ცხოვრების მუდმივი ადგილის მიუხედავად.

ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები ნოდარ ნათაძე, ნოდარ იმნაძე, ამირან კალაძე, რამაზ სურმავა, გიორგი ხავთასი, დავით აროშვა და ლევან ალექსიძე.

უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლითაც ცნო, რომ იურიდიული ძალა არა აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ ამ რესპუბლიკის კანონის დებულებას, რომელიც ზღუდავს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის უფლებას, იყოს არჩეული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს წინადადება მიეცა, გადადოს არჩევნები და შეუსაბამოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას.

ხესიამ მოისმინა უზენაესი საბჭოს მუდმივი საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ ტარიელ გულასტიას ინფორმაცია და მიიღო დადგენილება რესპუბლიკის ტერიტორიაზე „სსრ კავშირში კოოპერაციის შესახებ" კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედების თაობაზე.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის ჯონი ხეცურიანის წარდგინებით უზენაესმა საბჭომ განიხილა და მიიღო კანონი საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

სესიაზე გამოსულმა დეპუტატმა ალექსანდრე ულენტმა დააყენა საკითხი, რომ უნდა დაჩქარდეს რეფორმები ქართული კინემატოგრაფის სისტემაში. ამასთან დაკავშირებით სესიამ გადაწყვიტა შექმნას ამ რეფორმათა განხორციელებისათვის საკანონმდებლო საფუძვლის შემმუშავებელი სპეციალური კომისია.

უზენაესმა საბჭომ განიხილა მომავალი საკავშირო რეფერენდუმის საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება, რომ რეფერენდუმში მონაწილეობა არ მიიღოს საქართველოს რესპუბლიკამ და მოეწყოს რესპუბლიკური რეფერენდუმი ამა წლის 31 მარტს, რომლის დროს საქართველოს მოსახლეობა გამოხატავს თავის დამოკიდებულებას საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის საკითხისადმი.

ცალკეულ საკითხებზე, რომლებიც აღელვებს რესპუბლიკის მოსახლეობას, განცხადებები გააკეთეს დეპუტატებმა სუგზარ მგალობლიშვილმა და ტარიელ გელანტიამ.

სესიამ საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების—საკრებულოების არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ დაამტკიცა არჩილ ჭირაქაძე.

ამით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საქინფორმი.

## აკაკი წერეთელი — 150

„განთიადი" ... ყურადღებას უთმობდა ქართულ საბავშვო ლიტერატურის ... საკითხებს, წერდა კრიტიკულ წერილებს საბავშვო ლიტერატურის შესახებ და პრაქტიკულად მონაწილეობდა ამ საქმეში: აქვე აქვეყნებდა საბავშვო ლექსებს, მოთხრობებსა და პოემებს, თარგმნიდა მოწინავე

და საზოგადოებლოს.

ქართულ საბავშვო ლიტერატურაში აკაკი განსაკუთრებულ ადგილს უთმობს იაკობ გოგებაშვილს, არა მარტო ქართული პედაგოგიკის სულისჩამდგმელსა და მამამთავარს, არამედ აგრეთვე ქართული საბავშვო ლიტერატურის პირველ თეორეტიკოსს.

აკაკი ჯეროვნად აფასებს ი. გოგებაშვილის საბავშვო მოთხრობებს, მისი წერის მანერას,

## ფიქრი მოზარდის გონებრივ ჰორიზონტზე

ტუსი მწერლების, განსაკუთრებით კი კრილოვის ...

აკაკის კარგად ესმოდა საბავშვო ლიტერატურის ... მნიშვნელობა. მისი აზრით საბავშვო წიგნები აძლიერებენ მოზარდის გონებრივ ჰორიზონტს, და აძლევს მას ცოდნის დიდ მარაგს.

აკაკიმ შექმნა საბავშვო მწერლობის შედევრები: „იეძი თავგადასავალი", „კიკილას ხათაბალა", „პატარა ტარიელი", „სატაია ალექსი", „ყვავილი და ეკალი", რომლებიც დღესაც წარმოადგენენ ჩვენი მოზარდების სულიერ საზრდოს.

აკაკის მრავალი კრიტიკული წერილი მიუძღვნა საბავშვო ლიტერატურის საკითხებისათვის. ამ წერილების ანალიზიდან ჩანს, რომ მწერალი საბავშვო ლიტერატურას ორ ნაწილად ყოფს მოზრდილთათვის და მცირეწლოვანთათვის.

აკაკი წერეთელმა სპეციალური წერილი უძღვნა ივანე სპირიდონის ძე ელიაშვილს (1864-1932), ექიმს, საბავშვო მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს. აკაკი მას ნიჭიერ საბავშვო მწერლად თვლის, როცა მიმოიხილავს მის წიგნს „სამშობლო ბუნების ხარკი", და დიდ შეფასებას აძლევს ამ მოთხრობას, როგორც ყმაწვილებისათვის გამოსადეგსა

ეხას, თვლის მას ბავშვის გულის მესაიდუმლედ. 1912 წელს, როცა ი. გოგებაშვილი გარდაიცვალა, თელეგრაფით აკაკიმ თქვა: „გულწრფელად გიგლოვენ დიდები და ჩაგძახებს საფლავში მოზარდი ახალი თაობა, როგორც საერთო მამას".

აკაკის ძალიან მოსწონდა საბავშვო ჟურნალი „ჯეჯილი", რომლის პირველი ნომერი 1890 წლის იანვარში გამოვიდა. მასში იბეჭდებოდა საბავშვო და საოჯახო მოთხრობები, ლექსები, ზღაპრები, პოემები, სამეცნიერო წერილები, საბავშვო სათამაშოები და სავარჯიშოები, მათემატიკური ამოცანები, ... , ... , ... , რებუსები და სიმღერები ნოტებით.

როცა ჟურნალ „ჯეჯილს" არსებობის ათი წელი შეუსრულდა, ამ თარიღს სპეციალური წერილით გამოეხმაურა აკაკი წერეთელი. იგი დადებით შეფასებას აძლევდა ჟურნალში მოთავსებულ მასალებს, მის საერთო მიმართულებას. „მასში იბეჭდება ისეთი ნაწარმოებები,—აღნიშნავდა აკაკი,—რომლებიც როგორც ფორმის, ისე შინაარსის მიხედვით უნაკლოა. ბავშვის ბუნება და მოთხოვნილება ყველგან ერთი და იგივეა და ამიტომაც საბ-

ავშვო რამეში მიბაძვა არ ეხირება კაცს თვალში. აკაკის აზრით, საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი" შედარებით სხვებთან ნიჭიერად გამოდის, მაგრამ წერილის ავტორი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ამ კოხტასა და აზრიან პატარა ჟურნალს ხელმომწერები ნაკლებად ჰყავს.

1896 წელს ჟურნალ „ჯეჯილში" დაიბეჭდა სახალხო სკოლის მასწავლებლის, შესანიშნავი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის თედო რაზიკაშვილის საბავშვო მოთხრობა „ფითრი", რომელიც ღრმა სოციალური შინაარსისაა: იყო ალეგორიულ ფორმაში გადმოცემული საზოგადოებაში გაბატონებული ექსპლოატაცია, ჩაგვრისა და ძალადობის. ამ პატარა მოთხრობას აკაკი წერეთელმა მაღალი შეფასება მისცა: ვოლტერმა თქვა,—წერდა პოეტი ჟურნალ „კვალის" ფურცლებზე,—ყმაწვილებისათვის ის არის კარგი და სასარგებლო, რაც არც დიდებს აწყენსო. ეს პატარა ბოტანიკური მოთხრობა „ფითრი", თ. რაზიკაშვილისა, როგორც ხელოვნების მხრივ, ისე თავისი კილოთიც გამტაცია ახალგაზრდა გრძნობა-გონებისა და, იმავე დროს, დიდად საგულისხმოა დიდებისთვისაც, ვინც გულდადებით წაიკითხავს, ჩვენთან ერთად იტყვის, მადლობა ღმერთს, ახალი ხანა დგება ჩვენს მწერლობაში და მისი განთიადიც მოახლოებულიაო".

აკაკის აზრით, საბავშვო ლიტერატურის ენა უნდა იყოს სადა, მიმზიდველი და, ამავე დროს, ხატოვანი, მხატვრული სახეებით მდიდარი და მშრალი დიდაქტიზმისა და პუბლიცისტიკისაგან თავისუფალი. იგი ურჩევდა მწერლებს, ბავშვებისათვის დაეწერათ მოთხრობები ზღაპრების ფორმით, რადგან ეს უფრო იტაცებს მოზარდის გრძნობა-გონებას. საყმაწვილო თხზულებაში უნდა ჩანდეს უშუალო პატარა მკითხველებთან მიმართვით საუბარი, სადა, მიმზიდველი ენით თხრობა,—წერდა აკაკი.

ბიბი მეფისაშვილი.

## საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ზუგდიდის კომიტეტის განცხადება

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ზუგდიდის კომიტეტი პროტესტს გამოთქვამს საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის იაზოვისა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის პუგოს ერთობლივი ბრძანებულების გამო, რომელიც ითვალისწინებს საბჭოთა იმპერიის მთელ რიგ ქალაქებში შინაგანი ჯარების პატრულირებას.

მიგვაჩნია, რომ ეს არის ახალი დიქტატურის დამკვიდრება მთელ იმპერიაში, რაც ფაქტიურად თავისუფლებისაკენ მიმავალი რესპუბლიკების ზურგში დანის ჩაცემაა, ეს არის ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო სამართლის აშკარა დარღვევა, რამაც შეიძლება უკიდურესად მწვავე შედეგი გამოიღოს. ყოველივე ეს მცდელობაა იმისა, რომ იმპერიულმა ძალებმა როგორმე შეინარჩუნონ ჯოჯოხეთური იმპერია.

მოვუწოდებთ მთელ პროგრესულ საზოგადოებრიობას ხმა აღიმაღლოს ამ ბარბაროსული აქტის წინააღმდეგ.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ზუგდიდის კომიტეტი.

## საჭიროა მკვეთრი ცვლილებები

შარშან თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატმა თავისი საწარმოო სიმძლავრის მხოლოდ 30 პროცენტი გამოიყენა. ამის მიზეზი გახდა ძირითადი ნედლეულის წიფლის უკმარისობა, რომელსაც მას რესპუბლიკის ხე-ტყის მრეწველობის მეურნეობები აწვდიან. ამჟამად საქართველოში მწვავე დეფიციტური საქონლის რიცხვში აღმოჩნდა აგრეთვე სკამებიც, რომელსაც ეს საწარმო უშვებს.

—დამოუკიდებლად იმისა,—უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს კომბინატის დირექტორმა მერაბ ჯაფარიძემ,—რომ რესპუბლიკაში უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში წიფლის სანიტარული ჭრა მნიშვნელოვნად შემცირდა, ავეჯის საწარმოო კოოპერატივები ამ ნედლეულის დეფიციტს არ განიცდიან. შეუძლიათ კუბური მეტრი მერქნისათვის ორჯერ მეტი თანხა გადაიხადონ, ვიდრე ჩვენ. ბუნებრივია, რომ ხე-ტყის მრეწველობის მეურნეობებისათვის კომბინატი სახარბიელო დამკვეთი არ არის.

იმისათვის, რომ როგორმე შევაჩეროთ ამჟამად მიმდინარე წარმოების დაცემა, ჩვენ მოვაგვარეთ ლითონის კარკასიანი და დაწებებულ ფანერიანი სკამებისათვის დეტალების მოწოდება რუსეთიდან.

საჭიროდ მიმაჩნია ვთქვა, რომ ურთიერთსასარგებლო ბარტერული ოპერაციების ჩატარება მოითხოვს ისეთი სამსახურის შექმნას, რომელსაც ამომწურავი ინფორმაცია ექნება იმის შესახებ, თუ რაზე შეიძლება გაიცვალოს საქართველოდან გატანილი პროდუქცია.

(საქინფორმი)

## წარსულის შეცდომები ნათელია

დროა, თავი დავანებოთ წარსულ დროის ამბებს და მივხედოთ ჩვენს თანამედროვე ყოფას, ჩვენს ცხოვრებას. ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ პატიოსან ადამიანებს არ უჭირდეთ და თაღლითებს, გაიძვერებს შევავიწროვოთ ასპარეზი.

დღემდე ჩემთვის გაუგებარია, ვის სამსახურშია ეს კომერციული მაღაზიები, ნუთუ ამით ჩვენი ეკონომიკა გაჯანსაღდება? როგორც კომერციული მაღაზიის, ასევე საკოლმეურნეო ბაზრის ფასები რიგითი მშრომელისთვის ხელმისაწვდომი აღარ არის.

როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?

ამაზე ვიფიქროთ, ამ საქმეების მოგვარების გზები ვეძიოთ. უმრავლესობა კი მილიონერობაზე ოცნებობს, ცხადია სხვისი შრომის მითვისებით, სხვისი გატყავებით. ამის უფლება კი არავის აქვს, განსაკუთრებით საქართველოში, სადაც მშრომელი ხალხი ასე თავდადებით იბრძვის სრული დამოუკიდებლობისათვის, ერთიანი და ძლიერი საქართველოსათვის.

წარსულის შეცდომები უკვე ყველასთვის ნათელია. ვეცადოთ, მსგავსი და კიდევ უფრო მძიმე შეცდომები არ დავუშვათ დღეს.

ყველამ უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობის გრძნობა თავისი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების საქმეში, მხოლოდ მაშინ მივაღწევთ სასურველ მიზანს.

თ. ღურწკაია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოება და კანონი

# მხოლოდ ერთად ყოფნით

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის, ილია მეორის 1990 წლის 28 ოქტომბრის საგანგებო ბრძანება ძმათა კვლის აღკვეთის შესახებ ყველა გაზეთის მუდმივი რუბრიკა უნდა გახდეს. ადამიანთა ცნობიერებაში შეუსვენებლივ უნდა რეკდეს ეს საგანგაშო ზარი.

ვკლავთ ერთმანეთს ჯინჯებისთვის, სამკაულებისათვის, მიწისთვის და ხშირად არაფრისათვის. და მერე სისხლით მორწყული ლაბადითა და ქურქით გამოწყობილი არხეინად დააბიჯებენ საქართველოს მიწაზე და მაღალფარდოვანი სიტყვებით ადღეგრძელებენ ქართველ ხალხს, მეგობრობასა და სიყვარულს.

დასაღონებელი ის არის, რომ ხშირად მამა-შვილი, ცოლ-ქმარი, და-ძმა, სისხლით ნათესავებიც დანა-სისხლად გადამკიდებიან ხოლმე ერთმანეთს.

ზღვარი არა აქვს მძღოლების თვითნებობას, დაზარალებულთა მხრიდან სახლ-კარის დაწვის, დარბევის ფაქტებს. უკანონო, გაუმართლებელმა შურისძიებებმა სახელი გაუტეხა ზუგდიდსა და ზუგდიდელებს რესპუბლიკის მასშტაბით.

ლაღად გაშალა ფრთები უმუშევრობამ, მუქთახორობამ და მისგან გამომდინარე სამართალდარღვევებმა. დამნაშავეთა სამყარო, სარგებლობს რა შექმნილი მდგომარეობით, ისედაც გაძვალტყავებულ საქართველოს ეკონომიკას სულს ხდის. მომრავლდა უცხოური მარკის ავტომანქანები, არნახული კერძო სახლები, აგარაკები. სახელმწიფო დახლებიდან გაქრა ყველაფერი. სამაგიეროდ მომრავლდნენ ყველა ჯურის კოოპერატივები, რომელთა დაქირავებული შრომით შეკერილი ხალათებით, ზეწრებით და ხელთათმანებით მარაგდება შოვინისტური რუსეთის იმპერია.

ყველასათვის ცხადია, რომ კოოპერატორთა ამ აქციებს განაგებენ ისევ და ისევ ის ბობოლა საქმოსნები, რომელთაც საკმაოდ ძარცვეს რესპუბლიკის და ხალხის ქონება.

ჩვენი ცხოვრება ისეთ „მაღალ დონემდე“ ავიდა, რომ ხმარებიდან ამოვარდა სიტყვა „სპეკულაცია“. სპეკულანტი დღეს საპატივცემულო პიროვნება გახდა კომერციულ მაღაზიებთან შედარებით. თანდათან ჩვენს ყოფაში ფეხი მკვიდრად მოიკიდა ასეთმა აბსურდულმა, ულოგიკო სიტუაციებმა: ვასამართლებთ რომელიღაც მიყრუებულ კუთხეში მომუშავე გალეტილი მაღაზიის თუ კიოსკის მუშაკს ფასდამახინჯებისათვის, მაშინ, როდესაც პრესტიჟული, კომერციული მაღაზიების ბობოლა ვაჭრები ზეზეურად ატყავებენ ადამიანებს. მათ ხომ სახელმწიფო და კანონი იცავს.

სამი წელი გავიდა, რაც ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოში არ შემოსულა საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 234-ე მუხლით პარაზიტული ცხოვრებისათვის. როგორ დავიჯეროთ, რომ ზუგდიდში მუქთახორობა მოისპო, მაშინ, როდესაც ყოველ სამუშაო დღეს დილიდან საღამომდე ასეულობით უსაქმური დაიარება ქალაქში. ასევე იკლო გამოვლინებულ ნარკომანთა რაოდენობამ, ხოლო ნარკოტიკების გამსაღებელთა მიმართ სისხლის სამართლის საქმე საერთოდ არ განხილულა. და ეს იმ დროს, როცა ნარკოტიკების გამსაღებელთა და მომხმარებელთა რიცხვი დღითიდღე მატულობს. ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით ფერმკრთალ, უაზრო გამომეტყველების, გონებაარეულ, აგრესიულად განწყობილ ახალგაზრდებს. უსაქმოდ ხეტიალი და ნარკომანია კი წყაროა რიგი ისეთი მძიმე დანაშაულობებისა, როგორიცაა განზრახ მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ბოროტი ხულიგნობა, ქურდობა ა. შ.

„პერესტროიკის“ ინიციატორის ცრუ დაპირებებმა და რეალობისაგან დაშორებულმა პოლიტიკამ გაალატაკა და სასოწარკვეთილებაში ჩააგდო იმპერიასა და მის კოლონიებში მცხოვრები ადამიანები, რომლებმაც საბოლოოდ ირწმუნეს რა სკკპ-ს უსამართლობა და უსუსურობა, ეროვნულ - განმათავისუფლებელი ბრძოლის გზას დაადგნენ. მაგრამ ცენტრი შვიდი იანვრის „საშობაო მოლოცვით“ და ბალტიის ქვეყნებში დატრიალებული სისხლიანი ორგიებით ცდილობს ჩაახშოს სუვერენული რესპუბლიკების თვითგამორკვევის პროცესი.

ასეთ დროს, ნაცვლად ერთიანობისა და თანადგომისა, ერთმანეთს ვკლავთ და ვძარცვავთ. ნაცვლად სულგრძელობისა და მიტევებისა, ერთმანეთს ვშხამავთ და ვაქეზებთ უკანონო შურისძიებისა და განადგურებისაკენ.

ნუთუ არ არის ღმერთი და სამართალი, რომ ამ გაჭირვების ჟამს მაინც თავი შევიკავოთ ამდენი ბოროტებისაგან. ნუთუ მხოლოდ მოდისთვის გვიკიდია ხატი და ჯვარი, ნუთუ მოჩვენებითია ჩვენი ლტოლვა თავისუფლებისაკენ, ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ?

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი უდიერად, უსამართლოდ ჟკიდება სამართალდამცავ ორგანოებს. უწესრიგობის, გაჭირვების მთელი სიმძიმე მათზე გადააქვს. მუშტითა და კარების აჭედვით ცდილობენ კანონებზე რეაგირებას. მილიცია და პროკურატურა მხოლოდ მაშინ უნდათ, როცა პირადად გაუჭირდებათ. არ უნდა ვიჩენდეთ უმადურობას იმ პირთა მიმართ, რომლებმაც არაერთხელ დაადასტურეს თავდადება რესპუბლიკისა და ხალხის მიმართ. ისინი ახლაც იხდიან თავიანთ პატრიოტულ ვალს ცეცხლოვან კერაზე —სამაჩაბლოში. ამ ადამიანებს თანაგრძნობა და მხარდაჭერა სჭირდება და არა ძაგება.

ასე, რომ ამ გაჭირვების ჟამს ერთმანეთს უნდა გავუფრთხილდეთ, ხელიხელჩაკიდებულებმა ვიბრძოლოთ საერთო საქმისათვის— საქართველოს ერთიანობისა და თავისუფლებისათვის, მისი მომავალი მძლავრი ეკონომიკისათვის.

**ნ. არნანია,**
ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე.

მოსახლეობის მოთხოვნა

## როდის ალაპარაკდება რადიო?

რამდენიმე წელია არ მუშაობს წულუკიძისა და ვოროვსკის ქუჩებზე რადიოგადაცემის ხაზი. ამის თაობაზე არაერთხელ შენიშნავდა გაზეთი „ოდიში“, მაგრამ ამაოდ—მდგომარეობა დღემდე უცვლელია. მადლობის მეტი ვის რა გვეთქმის ქალაქის ელქსელის დირექციის მისამართით, რომელმაც წულუკიძის ქუჩაზე ძველი ხის ბოძები ახლით შეცვალა, მაგრამ ერთ კარგ საქმეს მეორე არ უნდა ვანაცვალოთ.

კავშირგაბმულობის რაიკვანძი, ეტყობა, სულაც არ ფიქრობს რადიოხაზების აღდგენას. იქნებ არა აქვთ საჭირო ფინანსები მავთულის შესაძენად? თუ ასეა, ჩვენ, აღნიშნულ ქუჩათა მცხოვრებლები, თანახმა ვართ წილობრივად გავიღოთ თანხა, ოღონდაც ამჟამინდელ გამწვავებულ ვითარებაში დადუმებული რადიო ამუშავდეს.

სიტყვა კავშირგაბმულობის მუშაკებზეა.

**ა. გულია.**

ელექტროენერგიის შექმნილი დეფიციტის მიზეზების შესახებ საზოგადოება მეტნაკლებად ინფორმირებულია, თუმც სიტუაციის დეტალებში ყველა როდი ერკვევა. ამის გამო ხშირია უკმაყოფილება. რათა მოსახლეობისათვის უფრო ნათელი გახდეს მდგომარეობა, ვესაუბრეთ „საქმთავარენერგოს“ ზუგდიდის საწარმოო უბნის უფროსს გ. ჟითაშვილს:

# როდემდე გაგრძელდება დეფიციტი?

**—ბატონო გენო, მიუხედავად არაერთი კომენტარისა, რესპუბლიკურ პრესასა თუ ტელევიზიაში, ხშირად ელექტროენერგიის გამორთვების კონკრეტული მიზეზები მოსახლეობისათვის უცნობი რჩება. ხომ არ დაგვისურათებდით მოკლედ შექმნილი მდგომარეობის გამომწვევ მიზეზებს?**

—საერთოდ საქართველოს ენერგოსისტემაში არის ელექტროენერგიისა და სიმძლავრის მწვავე დეფიციტი, რასაც რამდენიმე მიზეზი აქვს. ენგურის წყალსაცავში წყლის დონე მინიმუმამდეა დასული, თბილგრესიც ვერ მუშაობს მთელი დატვირთვით გაზისა და მაზუთის დეფიციტის გამო, ესენია ჩვენი ძირითადი წყარო. მეზობელი ენერგოსისტემებიდან სიმძლავრის მოწოდება მკაცრად რეგლამენტირებულია.

**—ენგურჰესი მთლიანად გაჩერებულია?**

მხოლოდ ერთი აგრეგატი მუშაობს. ასე რომ, გვაქვს ნორმალურ პირობებში რაც გვქონდა, მისი 50 პროცენტი ენერგია, ზოგჯერ გაცილებით ნაკლები. ზაფხულში გვყოფნის მთლიანად, გასაცემიც კი გვაქვს, მაგალითად, თურქეთს ვაწვდით, ამჟამად თურქეთი აქეთ გვაძლევს 100 მეგავატს, რაც აჭარის რაიონებისთვის იხარჯება. რამდენადაც ვიცით, ამაში ვალუტას არ ვიხდით, სამაგიერო უნდა ავუნაზღაუროთ ზაფხულში.

**—რამდენადაც პრესა იუწყებოდა, ელექტროენერგია მოსახლეობას უნდა მიწოდებოდა გრაფიკით. როგორ ხდება მისი დაცვა?**

—მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება, სადაც ერთ-ერთ პუნქტში ნათქვამია რომ შექმნილი მდგომარეობის გამო უნდა გაჩერდეს ყველა საწარმო, მანქანათმშენებლობის, მძიმე, მსუბუქი, ადგილმრეწველობის სისტემები, რათა აქედან გამოთავისუფლებული ელექტროენერგია გამოყენებულ იქნეს იმ საწარმოების ფუნქციონირებისათვის, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ეს არის პურის ქარხნები, წისქვილკომბინატები, საავადმყოფოები, სტამბა, შემდგომ მოსახლეობა. ჯერჯერობით ჩვენ გვიჭირს ამის გაკეთება, რადგან შესაბამის სამინისტროებს არ მიუღიათ შესატყვისი გადაწყვეტილებები.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე ზუგდიდის რეგიონისათვის საქენერგოს მიერ დაშვებულ იქნა დღე-ღამის ნებისმიერი პერიოდისათვის ელენერგიის მოხმარების ლიმიტი მთლიანად საჭირო ენერგიის 25 პროცენტის ოდენობით, რაც მინიმალურად თუ აკმაყოფილებს სასიცოცხლოდ აუცილებელ ობიექტებსა და მოსახლეობას, განსაკუთრებით პერიფერიებში განლაგებული პურსაცხობების თუ საავადმყოფოების სახით. უნდა ითქვას, რომ გრაფიკის ზუსტ განხორციელებას ხელს უშლის ის ფაქტორი, რომ აუცილებლად სასიცოცხლო ობიექტები პირდაპირ, უშუალოდ როდია დაკავშირებული ენერგიის გამნაწილებელ ქვესადგურებთან. ამიტომ რომელიმე მათგანისთვის ენერგიის მიწოდებისას მისი მიმდებარე ტერიტორიაც მარაგდება, რაც სხვა უბნების მოსახლეობის სრულიად უსაფუძვლო გულისწყრომას იწვევს. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ელექტროქსელის სქემა არ იძლევა უშუალოდ საწარმოს ჩართვის ან გამორთვის შესაძლებლობას.

ცხადია, შედგენილია ელექტროენერგიის შეზღუდული მიწოდების მცოცავი გრაფიკი, რისი მიხედვითაც, ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული საავადმყოფოების, პურკომბინატების და წისქვილკომბინატების გარდა სხვა მომხმარებლებს ელენერგია მიეწოდებათ რვასაათიანი ინტერვალით დღე-ღამის სხვადასხვა პერიოდებში, რათა უზრუნველვყოთ ყველა მომხმარებლის თანაბარი მომარაგება, განსაკუთრებით ტელევიზიის პროგრამების მუშაობის პერიოდში. აქედან გამომდინარე, ცხადია, ყველა მომხმარებელს რვიდან თორმეტ საათამდე არ ექნება უწყვეტი ენერგია. ხშირად აღნიშნული გრაფიკიც ირღვევა, ვინაიდან ენერგოსისტემის ფუნქციონირებას განაგებს ცენტრალური სადისპეტჩერო სამსახურები და ხდება დამატებითი შეზღუდვები საერთო სიტუაციიდან გამომდინარე.

თქვენს გაზეთში იყო გამოქვეყნებული ალმასკომის გადაწყვეტილება, რომ ქალაქის ცენტრში არ გამორთულიყო სინათლე, მაგრამ ამის განხორციელება ვერ შევძელით, რადგან უკმაყოფილო მოსახლეთა შემოტევების შედეგად იძულებული გავხდით ისიც ჩაგვექრო. ზოგიერთი საკითხს სვამს ჩვენს მიმართ უნდობლობისას, თითქოს ქალაქის ცენტრი პრივილეგირებული ხალხის მოთხოვნით იყოს განათებული. იყო შემთხვევები ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული ქვესადგურების მორიგეებზე შემოქმედებისა, რათა მათ მოეხდინათ გამორთული მომხმარებლის ქსელში ჩართვა. ასეთი იძულების შედეგად ადგილი ჰქონდა ქალაქის მთლიან გამორთვას. ასევე დარბეულ იქნა ზუგდიდის საქალაქო უბნის შენობა კოსტავას ქუჩაზე, ქაღალდკომბინატის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ძირითადი გამანაწილებელი ქვესადგური, შეურაცხყოფა მიაყენეს მომსახურე პერსონალს.

საკითხი დასმულ იქნა შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების წინაშე, ვნახოთ რა შედეგი იქნება...

უნდა აღდგეს ნდობა ამ სამსახურისადმი, სხვაგვარად საქმეს ვერ ვუშველით.

უნდა შევიგნოთ, რომ აუცილებლობა ითხოვს მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინების მიმართ მეტ ყურადღებას, ვიდრე კერძო ბინებისადმი. შეიძ-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

## ექიმი გვირჩევს

# მეტი ყურადღება — საკუთარ თავს

დედის ორგანიზმში განაყოფიერებული კვერცხუჯრედის ჩაუდებიდან ადგილი აქვს თავისებურ რეაქციას ამ უცხო ცილაზე. ჯანმრთელი ორგანიზმი მას ადვილად ეგუება, ხოლო დასუსტებული ქალის ორგანიზმის შეგუება დაქვეითებულია და ორგანიზმი იძლევა თავისებურ უკურეაქციას. ეს უკურეაქცია გამოიხატება ორსულობის პირველი და მეორე ნახევრის ტოქსიკოზით.

ორსულობის პირველი ნახევრის ტოქსიკოზი გრძელდება სამ თვემდე. მას მიეკუთვნება ნერწყვისდენა, გულისრევა, ღებინება.

ორსულობის მეორენახევრის ტოქსიკოზისათვის დამახასიათებელია ორსულთა შეშუპება, ნეფროპათია, ეკლამსია. ორსულთა შეშუპება შეიძლება გადაიზარდოს ნეფროპათიაში, ხოლო ნეფროპათია თავის მხრივ შეიძლება გადაიზარდოს ქვემო სახის ფორმაში — ეკლამსიაში.

ორსულთა შეშუპება კლინიკურად გამოიხატება პირველ რიგში ქვემო კიდურების შეშუპებით, რომელიც შემდგომში ვრცელდება მთელ სხეულზე.

ნეფროპათიისათვის დამახასიათებელია შემდეგი ტრიადა: შეშუპება, არტერიალური წნევის მომატება, შარდში ცილის არსებობა. თუნდაც ამ ორი კომპონენტის შერწყმისას ისმება ნეფროპათიის დიაგნოზი. ნეფროპათია შეიძლება გადაიზარდოს ეკლამსიაში, როდესაც ზემოთ აღნიშნულ ტრიადას ემატება კრუნჩხვები.

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ისეთ სახიფათო და ვერაგ დაავადებაზე, როგორიც არის ნეფროპათია. ნეფროპათიის დროს ხდება ფუნქციური და ორგანული ცვლილებები. ისეთ სასიცოცხლო მნიშვნელობის ორგანოებში, როგორიცაა თავის ტვინი, გული, ღვიძლი, თირკმლები დაავადების იმ ეტაპზე, როდესაც უკვე ჩამოყალიბდება ორგანული ცვლილებები, ექიმები უძლურნი ხდებიან. ნეფროპათიას თან სდევს მთელი რიგი გართულებანი: თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა და ჩაქცევა, თრომბოემბოლია, თირკმლის უკმარისობა, ღვიძლის ცხიმოვანი გადაგვარება. ამასთანავე ხდება ახალშობილის დეპო ორგანოს—პლაცენტის ცხიმოვან კეროვანი გადაგვარება, ირღვევა ნაყოფის კვება და ჟანგბადით მომარაგება. ვითარდება ნაყოფის მუცლადყოფნის პერიოდის სიკვდილი. განსაკუთრებით საშიშ გართულებას წარმოადგენს პლაცენტის ნაადრევი აცლა და მასთან დაკავშირებული შინაგანი სისხლდენა —ნაყოფის სიკვდილი. ზოგჯერ ასეთ შემთხვევაში აუცილებელი ხდება სასწრაფო ოპერაცია— ქირურგიული ჩარევა.

ზემოთ აღნიშნული გართულებანი შესაძლებელია თავიდან იქნეს აცილებული, თუკი ორსული დროულად შეასრულებს ექიმის რჩევა-დარიგებას.

ორსულობის ნორმალური მიმდინარეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კვებას (განსაკუთრებით ორსულობის მეორე ნახევარში). მიღებული საკვები პროდუქტი უნდა იყოს ვიტამინებითა და ცილებით მდიდარი. სასურველია მოხარშული სახით. ორსულის რაციონიდან ამოღებულ უნდა იქნეს ლორის, ცხვრის ხორცი, ხორცის ნახარში, ტკბილეულობა. მიღებული მარილის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5 გრამს. ხოლო ყოველნაირი სითხის 1 ლიტრს. მიზანშეწონილია განტვირთვის დღეების ჩატარება კვირაში ერთხელ მაინც. განტვირთვის დღეს ორსულმა უნდა მიიღოს 3-4 ცალი ვაშლი, ხაჭო.

ორსულისათვის აუცილებელია სუფთა ჰაერზე სეირნობა, მსუბუქი ფიზიკური ვარჯიში და ძილის მოწესრიგება. ასეთი რაციონალური რეჟიმის დაცვით შესაძლებელია მუცლადყოფნის პერიოდში ნაყოფი არ გაიზარდოს დიდი წონის და ამით თავიდან ავიცილოთ მშობიარობის დროს ნაყოფის ტრავმატიზმი და სიკვდილი.

საკვებში მარილის შეზღუდვა საშუალებას მოგვცემს ადვილად გაიხსნას საშვილოსნოს ყელი და მშობიარობა წარიმართოს ნორმალურად.

დროული კვალიფიციური მეთვალყურეობისათვის ორსული სამ თვემდე უნდა აყვანილ იქნეს აღრიცხვაზე ქალთა კონსულტაციაში. ოცდარვა კვირამდე თვეში ერთხელ უნდა გაესინჯოს ექიმთან და ჩაიტაროს საჭირო კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები, ხოლო 28 კვირის შემდეგ თვეში ორჯერ. ის ორსულები, რომლებსაც აღენიშნებათ ექსტრაგენიტალური დაავადებები (გულსისხლძარღვთა, თირკმლების და სხვა). ე. ი. მაღალი რისკის ორსულები. 28 კვირიდან თვეში ორჯერ უნდა მიმართონ ექიმს. ყველა ორსული, რომელსაც აღმოაჩნდება ზემოთ აღნიშნული გართულებანი, სასწრაფოდ უნდა იქნეს ჰოსპიტალიზირებული, რათა ჩაუტარდეს შესაბამისი მკურნალობა. მაღალი რისკის ორსული, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა რაიმე გართულება, ორსულობის პერიოდში 2-ჯერ უნდა იქნეს ჰოსპიტალიზირებული —28 კვირის ვადაზე და მშობიარობიდან 2 კვირით ადრე, რათა სტაციონარში მომუშავე ექიმებმა დროულად შეიმუშაონ მშობიარობის მართვის გეგმა.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ორსულთა მომავალი ისევ ორსულთა ხელშია. მათ მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ საკუთარი თავის მოვლას.

გიძინა სიხარულიძე,
ზონის კურატორი ქალთა სამედიცინო მომსახურების დარგში.

# როდემდე გაგრძელდება დეფიციტი?

(დასასრული)

ლება, ჩვენი პერსონალი რაღაცაში სცოდავდეს, მაგრამ ამ საკითხში ფაქტიურად არაფრის შეცვლა შეუძლიათ.

თავის დროზე, როცა ამა თუ იმ ობიექტის ფუნქციონირება დაიწყო, ცხადია, ვერავინ გაითვალისწინებდა დღევანდელ სიტუაციას, თორემ ცალკე გაყვანილობას მოაწესრიგებდნენ აუცილებელი ობიექტებისათვის, დღეს ეს ხარჯებთანაა დაკავშირებული, რაც მეტად რთულია. ასეთ ობიექტებს, სასურველია ჰქონდეთ განსაკუთრებული კვების წყარო— დიზელ-გენერატორები ავტომატური ჩამრთველით. ასეთები აქვთ ზოგიერთ ტელევიზიის გადამცემ სადგურებში.

—რამდენ ხანს გაგრძელდება არსებული დეფიციტი და როდის უნდა გვქონდეს იმედი მდგომარეობის მოწესრიგების?

--ჯერჯერობით დეფიციტის პროგნოზი 31 მარტამდეა. ამას განაპირობებს ამინდის ფაქტორი, ნაკლები ენერგია წავა გათბობაზე, გაიზრდება ასევე წყლის მარაგიც. ასე რომ, ზაფხულში სრულიად გამორიცხულია ამ მხრივ შეფერხებები. იმედი გვაქვს თებერვლის ბოლოდან უკეთესობა იქნება.

—ღმერთმა გისმინოთ!

ესაუბრა ქ. ტაბაღუა.

ახალი ლექსი

# ნუთუ მართლა...

ნუთუ მართლა შემოდგომა დადგა,
ნუთუ მართლა გაფრენილან წლები,
ნუთუ მართლა დაივიწყე შარა,
ნუთუ მართლა უჩემოდაც თბები.
ნუთუ მართლა გული აღარ გულობს,
ნუთუ მართლა დაშვებულა ფარდა,
ნუთუ მართლა არ გეტკივილება,
გული ჩემი კვლავ ქცეული დარდად.
ნუთუ მართლა ნისლის ფარდა ფარავს,
ბოგონების ულამაზეს ფერებს,
ნუთუ მართლა აღარ გეფიქრები,
ო, ახეთი წვა-წუხილის მერე.
ნუთუ მართლა არაფერი იყო,
ნუთუ მართლა არც ძახილი გაკრთობს,
ნუთუ მართლა ჩაიძირე ტივი
და დამტოვე ასე მარტოდ-მარტო.
ნუთუ მართლა ასე უნდო გახდი,
უშენობით ცაც დამემდურება...
ნუთუ მართლა აღარ ფასობს ქვეყნად,
დიდი გული, სათნო ერთგულება.
ნუთუ მართლა ასე ეულს მტოვებ,
ნუთუ მართლა არაფერი გესმის,
ნუთუ მართლა მეწყერმა წაიღო,
გულთან ერთად ყველა ჩემი ლექსი.

მიმოზა ცანავა.

# ბოიკოტი სიგარეტს!

(ნაკვესები)

* გაჭირვებით რომ სიგარეტი იშოვა და ასანთი ვერა,— მიასწავლეს—ბაზარს ცეცხლი უყიდია და იქ მოუკიდეო.

* რა ჩინ-მედლები გაიკარ თუთუმის გაბმით მწეველო, ჯანის და დოვლათ-ბარაქის ნიადაგ უკან მწეველო!

* მწეველსა ჯანი უკვირდეს, კვნესა რა საკვირველია.

* ვინც თუთუნი აკრძალაო, კიბომ ველარ დაკრძალაო.

* ვინა გყავს კმაყოფაზეო, და —ცოლი, სამი შვილი და... სიგარეტიო.

ვახტანგ ჯავრიშვილი.

რედაქტორი აა. ჭანტურია.

---

ზუგდიდის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკა სამუშაოდ იწვევს მეფრინველე-ოპერატორ ქალებს და მექანიკოს მამაკაცებს.

ანაზღაურება ოპერატორებისათვის 270-300 მანეთია, მექანიკოსებისათვის 400-450 მანეთი.

ზემოთ აღნიშნულ პირთ აგრეთვე შეუძლიათ იმუშაონ ხელშეკრულებით. ფაბრიკას გააჩნია საცხოვრებელი ბინა.

ჩვენი მისამართია: სოფ. ქითაწყარი, ზუგდიდის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკა—ავტობუსი №21-ის ბოლო გაჩერება.

დირექცია.

---

ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საქმეში არსებული შეფერხებებისა და ელექტროდენის დაბალი ძაბვის გამო გაზეთ „ოდიშის“ სამშაბათის და ხუთშაბათის ნომრები დაიბეჭდა დიდი დაგვიანებითა და შემცირებული ტირაჟით, რისთვისაც რედაქცია ბოდიშს უხდის თავის მკითხველებს.

გაზეთ „ოდიშის“ რედაქცია.

---

შვილი ნაზი ჩაჩიბაია-შენგელია, სიძე რაჟო შენგელია, შვილიშვილები: თინიკო, მაკა, ბესიკო იუწყებიან
**ლიდა იოსების ასულ ხვიტიას**
გარდაცვალებას. დასაფლავება 2 თებერვალს, 2 საათზე. გამოსვენება თბილისიდან, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი, მე-7 კვარტალი, მე-18 კორპუსი.

---

რძალი ლონდა შვილებით: თამარა, მიმოზა. ძმ. ზენონი. ზაური, თამაზი, გიგლა გულაიები, ნატო ქექია, სიძე ნოე პერტაია და შვილიშვილებით იუწყებიან
**ამირან იასონის ძე გულაიას**
გარდაცვალებას.

---

მეუღლე ნაზო, შვილები: დალი, თეიმურაზი, შვილიშვილები: მედეა, ნინო. ნანა, დები: ლიდა. ცოცო. ლენა. ძმა ნუგზა. დიშვილები: ეთერი, მარიზე. კუკური, მამუკა. ლია. მზია. ხოხა, ძმისშვილი თემური. სიძეები: გურამი გაბელია, ჟორჟი ძახია, არონ ვეიავა. გივი თოდუა, ბონდო კვიახიძე. სერიოჟა გუგუჩია. რამზ კუკავა. მერაბ ჩარგაზია, რძლები ციალა მამფორია, ნელი ძიოცხულავა, დალი ჩუხუა, აველინა ქირია. მანანა მკადუა, ლუიზა ხოფერია, ბიძაშვილები გუგუშა, ზინა, გივი. ლუდუკა. ვახტანგი. ზური ზარქუები, ცოლისდები: მერი. მოკოხი, თინიკო ლოგუები, მძახლები ალიოშა, შურა გაბელიები, მამიდაშვილები. დეიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან
**ვალიკო ილიას ძე ზარქუას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3, 4 თებერვალს. დაკრძალვა 5 თებერვალს, ოქტომბერში.

---

ზუგდიდის ჩაის კომბინატ „ოდიშის“ კოლექტივი იუწყება
**თინა ვლადიმერის ასულ როგავა-შელიას**
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე მალინა, შვილები: გოჩა, დალი, ლიანა, მარიხა. და ვენერა, სიძე მამია ჯაბუა, რძლები: მარინა ყორშია, ციალა ტორჩინავა, ქსენია, ლონდა გულაიები, შვილიშვილები: ალეკო ჯაბუა, მაკა, გიორგი, ირაკლი გულაიები, დისშვილი მარიეტა ბოკუჩავა, ცოლისდები: ლუცია, გოგოლა დარასელიები, მზახლები ბუელუ ჯაბუა, ხანარა, ქორა ყორშიები, ლუნა, შალიკო ტორჩინავები, ბიძაშვილები: ლეო, ქვათია, ეთერი, ცაალა გაბუნიები, მამიდაშვილები: თამარა, სუცა, მიშა, ჯაკა. ასთამურ ბაგათელიები. ძუბა ძაძუა, დეიდაშვილები: ქსენია, შუშანა გოგიბერიები, ცვაფია დგებუაძე, ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან
**ამირან იასონის ძე გულაიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5, 6 თებერვალს. დაკრძალვა 7 თებერვალს ს. ორსანტიაში.

---

დედა ლეილა. დები ემა. ელისო. ბებია ქსენია, დისშვილი დათო, ბიძები აპოლონ გაბისონია, ვალერი კუტარბა, ჩიბა ყაიტანი, მამიდები: ნათელა, ვეოა, დეიდები: იზოლდა, მაგული. ლუიზა. ბიცოლა ნაზო. ბიძაშვილები: მაყვალა, მადონა, მამუკა. დედა გაბისონიებს, მამიდაშვილები სერგო რუხაძე, გივი. გია, ნაირა. ეთერი, ვარდო, თალიკო წყაროზიები, დეიდაშვილები დალი, ზურაბი, გენო, ლალი ყაიტანები, ალბერტი, ასტამური, ამრიკო კუტარბები, სოფიკო ჯლანჯღავა და ახლო ნათესავები იუწყებიან
**დემურ ლავრენტის ძე გოგიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3 თებერვალს. დაკრძალვა 5 თებერვალს სოფ. რიყეში. გამოსვენება კიროვის ქუჩა 32-დან.

---

ზუგდიდის რაისანეპიდსადგურის თანამშრომლები იუწყებიან
**ანთიმოზ (ჯუგუ) ჯვებეს ძე თოლორაიას**
გარდაცვალებას.

---

ინდექსი ჩვენი რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის — 2-33-89 [illegible] 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00

საქ. ბეჭდსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 8000 შეკ. №311